

# საუნჯე

მეათე საუკუნისა

ვითარცა ტალანტი, წინა-  
მძღუართაგან დაფარული,  
შედგომად მრავალთა ჟამ-  
თა და წელთა ვპოვეთ.

მიქელ და იოანე.

---

წერილი

მოსე ჯანაშვილისა

იოანე ტბევრელ ეპისკოპოსის სურათითა  
და მეათე საუკუნის საგალობო ნიშნების  
ნიმუშებით.

---

ტფილისი


სტამბა მ. შარაძისა, ნიკ. ქუჩ. № 21.

1891



*Доз. ценз. Тифлисъ, 16-го Юля 1891 г.*

იოანე მტბვერელ ეპისკოპოსი.



## ს ა უ ნ ჯ ე

### შეათე საუკუნისა

ვითარცა ტალანტი, წინა-  
მძღუართაგან დაფარული,  
შედგომად მრავალთა ჟამ-  
თა და წელთა ვპოვეთ.

მიქელ და იოანე.

(კუძღვნი თაგ. ნ. ტ. ღადიანს\*)

ხელ-ნაწერი, რომლის შესახებ დღეს  
მსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვა, მე,  
ჩემდა თავად, მიმაჩნია შესანიშნავ  
ძეგლად.

ეს ხელ-ნაწერი ეკუთვნის „წერა-  
კითხვის გამავრცელებელ საზოგადო-  
ებას“, აღნიშნულია № 425-ით და  
ჰქვიან „საგალობელი“ (ნოტი).

---

\*) ავტორს „ჩვენი გალობის აღდგენა“-სას.

იგი მკვიდრ ეტრადზეა დაწერილი ჩვეულებრივის ხუცური ხელით, ხოლო ზედ-მინაწერები და ბიბლიოგრაფიულ-ქრონოლოგიური ცნობები შესრულებულია ასო-მთავრულით. წიგნი შესდგება 544 ფურცლისაგან. სიგრძით ალაბზედ ცოტა ნაკლები იქნება, სიგანითაც სიგრძის შესაფერია.

ეს უზარმაზარი ხელ-ნაწერი დიდად საყურადღებოა ყოველმხრივ.

იმ დროს, რა დროსაც ევროპის საშუალო სექუნდუმის ცივილიზაციის მკვლევარს მე-X—XI საუკუნემდე თითქმის ვერაფერი თვალ-საჩინო ნაშთი ვერ აღმოუჩენია, რომ მისით ასწონ-დასწონოს ვითარება გონებითი წარმატებისა ევროპის კაცობრიობისა \*), იმ დროს, ვამბობ, აზიის ერთ კუნძულში, სახელდობრ

\*\*) იხ. *Средние века и варвары*, ლიტრესი.

ჩვენს სამშობლოში, იწერება დიდი საგალობელი თავის ნიშნებით (ნოტები). მუსიკის ისტორიის სახელმძღვანელოდამ სჩანს, რომ ჩვენი საგალობელის მსგავსი ნამუშევარი, დროის მიხედვით, იშვიათი მოვლენაა.

დღეს, რასაკვირველია, ამ წერილს იმიტომ-კი არა ვსწერთ, რომ გვსურდეს თვით საგალობლების განმარტება, არამედ იმიტომ, რომ ეს ღირსშესამჩნევი ხელ-ნაწერი, შეძლებისამებრ, ცოტაოდნად მაინც გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას.

რა დროს დაწერილია ეს ხელნაწერი?

ამ საკითხავის პასუხად, ჩემის აზრით, საკმაოა მოვიყვანოთ ის ცნობები, რომელიც მოიპოვება თვით ამ ნაშთში.

ხელ-ნაწერში მხოლოდ ერთ ადგილას, ცალკე თავის დასახელების შემდეგ (გვ. 357): ვკითხულობთ:

„ქრისტე, ადიდე უძლეველი მეფენი:  
სუმბატ და გურგენ.“ ამათგან პირვე-  
ლი მეფობდა 923—958 წლების გან-  
მავლობაში, ხოლო მეორე 958—  
980 წლებისა.

ამ ორ მეფეს გარდა რამდენიმე  
ადგილას იხსენიება აგრეთვე მეფე და  
კურატპალატი დავით.

იქსო ქრისტე: მფლობელო: ორ-  
თავე: სოკფევათაო: მეოხებითა: ყო-  
ველთა: წმიდათა: შენთაჲთა: ოკმე-  
ტეს ადიდე: შენ მიერ ღირსად:  
გვრგვნოსანი: ოკძლეველი მეფეთა:  
მეფს: დავით: კოკრატპალატი: და  
დაჰცენ: ყოველნი მტერნი: და წინა-  
აღმდგომნი: მეფობისა მათისანი: ქოკე-  
შე ფერკთა მათთა: ოკძლეველითა  
ძალითა: მკლავისა: შენისაჲთა: ამინ:  
იყავნ:.

ეს დავით კურატპალატი მეფობდა  
მეათე საუკუნის მეორე ნახევარს. იგი  
ცნობილია არა თუ მარტო ჩვენს

ისტორიაში, არამედ მსოფლიო ისტორიაშიაც. მის დროს საქართველო ფრიად ძლიერი სახელმწიფო იყო, ისე ძლიერი, რომ ბიზანტიის იმპერატორმა თავისი მტერის ბარდა სკლერის დასამარცხებლად დავითს გამოსთხოვა მისი განთქმული მხედრობა და დავითმაც სიამოვნებით შეუსრულა თხოვნა. 12 ათასი კაცი დაუყოვნებლივ წარგზავნა ჩინებულის თორნიკის წინამძღოლობით. სკლეროსი სრულიად დამარცხებულ იქმნა. ამ ამბავს აღწერენ, როგორც ჩვენი წყარონი, აგრეთვე ბიზანტიური და სომხური. მაგალითებრ ასოდიკისწერს:

ბიზანტიაში გამეფდა ბასილი (976 წ.). ვარდა სკლეროსი განდგა. მიიმხრო სომხის ცხენოსანი ჯარი. საბერძნეთის სამეფო ორად გახია და ერთ ნაწილში თვითონ იწყო მეფობა. ბასილიმ შემოიკრიბა ბიზანტიისა, თრაკიისა და მაკედონიის მხედ-



რობა და შეებრძოლა მტერს, მაგრამ  
მისგან იძლია. გაჭირვებულმა ბასი-  
ლიმ მიიწვია ივერიელი თორნიკ და  
წარგზავნა დავით მეფესთან და შემ-  
წეობა ითხოვა. დავითმა წარგზავნა  
თვისი მხედრობა, რომელმაც ისე  
დაამარცხა სკლეროსი, რომ მან ძლივს  
გაასწრო ბაღდადისკენ.

ასოლიკის თქმით დავითი აღმატე-  
ბოდა ყოველთა თანამედროვე მეფეთა.  
იგი იყო მყუდროებისა და კეთილ-  
წესიერების მიზეზი მთელს აღმოსავ-  
ლეთში და განსაკუთრებით-კი საქა-  
რთველოსა და სომხეთში.

ამავე შემთხვევას მოიხსენიებს 977  
წელს გადაწერილი წიგნი „სამოთ-  
ხე“. \*) ამ წიგნის ერთი მინაწერთაგანი  
დავით მეფეს უწოდს „ყოვლისა აღმო-  
სავლეთისა კურატპალატად“, „თავად  
მართლ-მადიდებლობისა“ ... „რაჟამს  
იგი გამოჩნდა ქვეყანასა საბერძნეთისა-

\*) იხ. დ. ბაქრაძის ისტორია.

სა კაცი განლაღებული სკლეროსი და მხდომად აღუდგა წმიდათა მეფეთა. ამან (თორნიკმა) ისწრაფა და მოიწია ძლიერისა და ყოველ კერძოვე უძლეველისა დავით კურატპალატი-სა და ბრძანებითა ამათითა დაამხვა განზრახვაჲ მისი (სკლეროსისი) და განამტკიცნა წმიდანი მეფენი“. ესევე იმეორება „იოანე ლუთის-მეტყველის გამოცხადების წიგნში“, რომელიც გადაწერილია 978 წელს. „დაიწერა წიგნი ესე... ფიცხლად განდგომი-ლებასა ბარდა სკლეროსისსა, ჳირსა დიდსა საბერძნეთისასა, ოხრებასა გლახაკათასა, უწყალოდ ურთიერთას მახვი-ლითა ძმაჲ ძმასა ზედა და მამაჲ შვილსა ზედა, ესე ყოველი იქმნებო-და ამას რაჲ წიგნსა ვწერდი. ქორო-ნიკონი იყო რჳს (978 წ.).

დავით მეფის მიერ მოქრილ ფუ-ლებს აწერია: **ჰე შე დთ კატლი** (ქრისტე, შეიწყალე დავით კურატ-პალატი).

სა: შრომაჲ: ვაჩოვენე: და შევკრი-  
ბენ: საგალობელნი: ესე: წმიდისა:  
აღდგომისანი: რომელნი: ვპოენ:  
ენითა: ქართველთაჲთა: მეხოვრნი:  
ბერძოვლნი: და ქართოვლნი: სრო-  
ვლნი ყოვლითა: განგებითა: წესისაებრ:  
საეკლესიოჲსა: ოფალო: ღაღადმე-  
ტყველითა: ოხითითა: მოიხილითა: ღ  
აქებდითითა: ძლიერად ღ: სიწმიდით: ღ  
სიმართლით: სისწორითა: კილოჲსაჲ-  
თა: და ოვცთომელობითა: ნიშნი-  
საჲთა:..

იხილე: მღდელი: ღმერთშემო-  
სილო: კინაკი ესე: ნამოვშაკევი:  
ოვნდოთა: კელთა ჩემთაჲ: რაჟამს:  
ოვშრომელად: აღმოივსო: საღმრ-  
თოჲსა: ამისაგან: წყაროჲსა: მოიკსე-  
ნე: საწყალობელი: სოვლი: ჩემი  
ქრისტეს სიყოვაროვლისათვის: რათა  
თქუენცა: ჰპოვოთ: მადლი: მოწყა-  
ლებისაჲ: და სასყიდელი: სიყოვაროვ-  
ლისაჲ: რომელნი იკითხვიდეთ: ის-

წავებდეთ: გინათოვ ისმენდეთ: სიტ-  
ყოვათა: ამათ: ღუთივ სოვლიერთა:  
საგალობელთა: ღუთისათა: რომელი-  
კოვრთხეოვლარს: ოვკოვნითი ოვ-  
კუნისამდე: იყავნ... .

ოვფალო: წყალობით: მოიკსენე:  
სოვლი: მამისა დავითისი: იოვანესი:  
დავითისი: და წყალობაყავ: საწყა-  
ლობელისა: მიქელისთვის... .

მკითხველი შენიშნავდა მწერალის  
ნათქვამს: „კჳოკენ ენითა ქართულითაჲ-  
თა და უცვლელად კილომსაჲთა და ნი-  
შნისაჲთა განკმარტე ესე საგალობელნიო“ .  
აქედგან ის დასკვნა გამოდის, რომ  
ავტორზე უწინარესაც ყოფილა ქარ-  
თულს ენაზე საგალობელი (ნოტები);  
არა თუ მარტო ქართულის კილო-  
სა, არამედ კიდევ ბერძულნი და მე-  
ხურნი.

სხვა წარწერაში მიქელი თავის თავს  
უწოდს „ღმერთ - შემოსილის მამის-  
დავითის ძმისწულად“ და შემოაქვს  
კიდევ სხვა ცნობაც (გვ. 44):

შეწევნითა ღუთისაჲთა: რომელი:  
იგი არს: მიზეზი: ყოვლისა: კეთილი-  
საჲ: მე გლახაკმან: მიქაელ: მოდ-  
რეკილმან: ძმისწოკლმან: ღმერთ შე-  
მოსილისა: მამისა დავითისმან: ვი-  
ლოჯაწე: და ყოვლით კერძო: შრო-  
მაჲ ვაჩოვენე: ოჯხეშთაეს: ძალისა:  
ჩემისა: და ფრიადითა: ხარკებითა:  
და გულს მოდგინედ: ძიებითა: შევ-  
კრიბენ: ძლის პირნი ესე: ყოვლით  
კერძოვე: რომელნი: ვპოვენ: ენითა:  
ქართველთაჲთა: მეხოჯრნი: ბერძოკლ-  
ნი: და ქართოკლნი: სროკლნი: ყო-  
ვლითა: განგებითა: და დავწერენ:  
წმიდასა: ამას შინა: წიგნსა: ყოვლი-  
თა განმარტებითა: და ჭეშმარიტები-  
თა: და ესრტთ: განვაწესე: თავით:  
თვსით: და ოკმჯობეს ვჟაფ: ოკმე-  
ცრებითა: სიგლახაკისა: ჩემისაჲთა:  
რამეთუ ყოველსა: კმასა: პირველ: ჟფა-  
ლო: ლალადმეტყვისა: ძლის პირნი:  
დავწერენ: და შემდგომად: გალობა-

თანი: თვნიერ ქარაბიძისა: და ყო-  
ვლითოვრთ: სროვლ იქმნა: მოვშა-  
კობაჲ ესე: საღმრთოჲ: ძალითა: და  
შეწევნითა: დიდად: სახიერისა: მხო-  
ლოდსა: ღუთისაჲთა: რომელი: კო-  
ვრთხეოვლ არს: აწ და მერმეთა: მათ:  
საოვკოვნეთა: ამინ:...

აქედგანაც ისევ ის აზრი გამოდის,  
რომ მიქაელს ძველი საგალობელი  
„თავით თვისით შეუგრებია, განუწესებია  
და უმჯობეს უყვია“. ამ მიქელს დიმი-  
ტრი ბაქრაძე სთვლის 977 წლის მწერ-  
ლად.

78 გვ. ხელნაწერისა მოყვანილია  
საგალობელი 25 ქრისტეშობისა:

დეკემბერსა კე: კრებაჲ: დიდი:  
ბეთლემს: შობაჲ: ოფლისა: ჩვენისა:  
ივსო ქრისტესი: დასდებელნი: ქრი-  
სტეს: შობისანი: თქოვმოვლნი: ღმერთ  
შემოსილისა: იოვანე: მტბევარ: ეპის-  
კოპოსისა:.

ეს იოანე მტბევარი ხშირად არის მო-

ხსენებული წიგნში და ერთ ადგილას-  
კი (გვ. 119) ერთად ჰხატია სურათი  
იოვანე მტბევრელისა და ბასილი  
კესარიელისა. ორთავეს ხელში გრა-  
გნილი უჭერიათ. ბასილისაზე აწე-  
რია: „ნესტოკსა დაეციოთ თავსა  
თოჯვეთასა“; მტბევრისაზე: „მომი-  
ტვევ მე კადნიერებაჲ არა ღირსსა“.   
პირველის სურათის ზემო აწერია  
„ბასილი კესარიელი“, მეორისაზე  
„იოვანე მტბევარ ეპისკოპოსი“. იო-  
ვანეს თეთრად გასთეთრებია წვერ-  
ულვაში. თუმცა წამალი გადალეულა,  
მაგრამ მაინც ერჩევა მისი ლამაზი  
სახე.

იოვანე მტბევარი რომ დიდად გა-  
ნათლებული კაცი ყოფილა, ეს უე-  
ჭველია. რამდენიმე თავი ამ წიგნისა  
მას შეუდგენია. ყველა მის მიერ შე-  
დგენილ „თავს“ აწერია; „თქმულნი  
ღმერთ-შემოსილის იოვანე მტბევარ  
ეპისკოპოსისნი“, ხოლო ერთ მინა-

წერში ამ მოყვანილ სიტყვებს ემატება კიდევ: „სიბრძნითა სულისა წმიდისაჲთა: მოწამენი: ცხოვრებისნი და მათი წყებელნი“.

იოვანე მტბევარი შესამჩნევი მოღვაწეა მათე საუკუნისა. იგი მოხსენებულია გარდა ჩვენის „საგალობლისა“, აგრეთვე სვანურს ხელნაწერში, რომელიც ეკუთვნის მათესავე საუკუნეს, დაწერილია თვით იოანესაგანვე.

„ქრისტე შეიწყალენ ამის წიგნისა მომგებელნი: მამთალი მტბევარი იოვანე და მამაჲ თეოდორე“ (სვანური ხელნაწერი, დ. ბაქრაძის ისტორიაში). ბაქრაძე ამბობს, რომ იოვანე იყო თეოდორეს შვილიო და მოღვაწეობდაო დავით დიდის კურტპალატის დროსა. რომ მართლა იოვანე მტბევარს უცხოვრია მათე საუკუნეში, ესა ცხადად სჩანს ერთი სახარების მინაწერიდამ: ქრისტე, აღიდე იო-



უნე მამათ-მთავარი პირველ მტბე-  
ვარი და აწ შენ მიერ. მაწყვერელ  
ეპისკოპოზი... დაიწერა წმიდა ესე  
სახარება საყდარსა შინა ტბეთისასა...  
ქორონიკონსა სიე (995 წ.) (იხ.  
СВѢДѢНІЯ О ПАМЯТИ. ГРУЗ. ПИСЬМ.  
ალ. ცაგარლისა, გვ. 71).

იოანე მტბევარს მშვენიერად სცო-  
დნია ღვიძლი ენა. აი ნიმუში მისის  
ენისა და წერისა:

იხარებენ დღეს ცანი ცათანი: იხა-  
რებდით ცანი და იშუებდით: ქუე-  
ყანაჲ და ზღუაჲ: მკვდრთა თვსთა  
თანა დღეს ღირსად. ბეთლემ განე-  
მზარე და შეიმკვე ქუაბო. და შენ აწ  
ბაგაო. შეიწყნარე ნათელი ზეციით.  
რამეთუ აჩრდილი განქარდა. ღმერთი  
რაჲ კაც იქმნა ჩვენთვის და სხ.

იოვანეს გარდა აგრეთვე გამოჩე-  
ნილია მტბევარივე სტეფანე, რო-  
მელმაც შეადგინა გობრონის (მიქელ  
ყოფილის) ცხოვრება. „მე სტეფანე

მტბევარ ეპისკოპოსმან დავსწერე ბრძანებითა აშოტ ერისთავთ-ერისთავისა“. გობრონი იწამა 914-920 წწ. შორის (?)

ეს სტეფანე იხსენიება აგრეთვე მეათე საუკუნის ხელნაწერ ქრისტომატიასში, რომელშიაც, სხვათა შორის, მოქცეულია ქართლის მოქცევაჲ. ამ ქრისტომატიის ერთი წერილის ავტორთაგანი სტეფანე მტბევარს სწერს: „ღირსო მამაო, წმ. ეპისკოპოს სტეფანე, ქრისტეს გამორჩეულო მამფალო. კურთხეულარს ღმერთი, რომელმან გამოგაჩინა შენ კეთილად მწყემსად ჩვენდა და მკურნალად სულიერად, აღმაშენებელად ჩვენდა. მრავალ-გზის მინდა ხილვაჲ შენი კურნებისათვის საღმობათა სულისა ჩემისათა, არამედ სიშორისაგან და რუდუნებისაგან უცალოვებისა ჩემისა ვერ ღირს ვიქმენ თავყუანისცემად შენდა. აწ შენდობა იყავნ ჩემდა ამი-

სთჳს, რომელ წიგნითა მოგიძღუნებ განსაკითხავსა ამას ჩემსა, წმიდაო ღუთისაო... ხოლო შენ, მსგავსად მოცემულისა მაგის სიბრძნისა შენისა, განიკითხე (წიგნი „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“) და, ჯერ თუ იყოს, შენ მიერ დაენერგენ შორის ეკკლესიასა.\*

აქედგან ცხადად სჩანს, თუ რა გვარ მოწიწებით, პატივისცემით და მოკრძალებით ეკიდება თანამედროვე მწერალი სტეფანე მტბევარს, რომელსაც იგი უწოდს მამფაჲად, ე. ი. მამამფლობელად, მკურნალადსაღმობათა, ბრძნად და ღირსად თაყვანისცემისა.

ეჳვი არ არის, მხოლოდ ამ გვარ ღირსებით აღჭურვილ კაცს დასახავდნენ წმიდანად. მართლადაც, ჩვენ ვხედავთ, რომ „საგალობელში“ იოვანე მტბევარის პატიოსანი თავი შემოსილია სხივის რგოლით, რადგან იგიც, ვითარცა სტეფანე, იყო

წმიდა და სწერდა „სიბრძნითა სული-  
სა წმიდისათა“ \*).

იოანე მტბევარს გარდა საგა-  
ლობელში მოხსენებულია აგრეთვე  
ეთვზე და სტეფანე ჭყონდიდე-  
ლი. ეთვზე ორმინაწერშია ხსენე-  
ბული. მინაწერის ხელი ტექსტისას  
არა ჰგავს.

„უფალო, შეიწყალე ეთვზე,  
ცოდვილი მწარედ“.

„სტეფანე ჭყონდიდელისა ნეტა-

---

\*) აქვე მომყავს ორიოდე ცნობა ტბეთის  
ეკკლესიის შესახებ. ნანგრევი ამ ეკკლესიისა  
აღუწერია გ. ყაზბეგს და აგრეთვე დ. ბაქრა-  
ძეს. ტბეთი მდებარეობს შავშეთში. ეს ეკ-  
კლესია, დ. ბაქრაძის თქმით, 918 წელს საე-  
პისკოპოსო კათედრად დაუმტკიცებია აშოტ  
კუხს. პირველ ეპისკოპოსად ყოფილა სტე-  
ფანე. ტბეთის ეპისკოპოსებს ემორჩილე-  
ბოდა მთელი შავშეთი ანაკერტს აქეთ და  
ზემო აქარა სოფელ დონდალოს ჴევით. ოს-  
მალეთის ბატონობამ გააუქმა ერთ დროს  
მბრწყინავი სამღვდელ-მთავრო.

რისანი: სანანოჲს ძისანი: ქრისტე,  
დიდებულ ყავ სული მათი“.

წმ. ეფთვმე დაიბადა მეათე საუ-  
კუნის მეორე ნახევარს და აღესრუ-  
ლა 1028 წელს. „წერა-კითხვის“ ერთ  
ძველ ხელნაწერში (№ 1257) სწერია:  
„ბაგრატ გურგენის შვილი, რომელ-  
მან მეფობაჲ აფხაზთა და ქართველ-  
თა ერთყო ქორონიკონსა სლდ (1014  
წ.). ამისთა ჟამთა იყო ეფთვმე მთა-  
წმინდელი, მთარგმნელი ტაოთ“.  
(გვ.10) მართლაც, ბაგრატ III მეფობდა  
980—1014 წლამდე.

ეფთვიმეს მამა იყო იოანე, კაცი  
ფრიად განათლებული. იოანე ერთს  
ხელ-ნაწერ ეტრატში (იხ. ПАМЯТНИ-  
КИ, ა. ცაგარელისა, გვ. 177) ჩა-  
მოსთვლის თავის შვილის 21 თხზუ-  
ლებას და ბოლოს დასძენს: კსენე-  
ბულმცა ვართ ლოცუათა შინა თქუენ-  
თა გლახაკი ესე იოანე შკლისა ჩემი-  
სა ეფთვმისათანა“. აქვე ეფთვმის

მიუწერია: „ვინცა ამას წიგნსა სწერდეთ, ესე ანდერძი თან დაუწერეთ ქრისტეს სიყუარულისათვის. მამა ეფთვზე ბრძანებს“.

კიდევ სხვა ადგილას: ენასა ამას ჩუპნსა ქართულსა არავინ სადა პოვნილ იყო აქამომდე შემდგომად მათსა, რომელთა ძუსლნი აღთქმანი და სახარებაჲ და საქმე მოციქულთა და პავლე (მოციქული) თარგმნეს, -რათამცა გამოეხუნეს ესე წიგნი „თარგმანნი წმ. სახარებისანი“ და სხუათა წერილთანი. რამეთუ მრავალი აკლდა წიგნი ენასა ამას ჩუპნსა ქართულთასა, -ამისთვის მე, გლახაკი და ნარჩევი ყოველთა მონაზონთა, იოვანე მწუხარე ვიყავ ამის საქმისათვის, რომელსრეთ ნაკლულევან იყო ქვეყანა ქართლისაჲ წიგნთაგან და დიდი მოღუწებაჲ ვაჩუენე და შული ჩემი ეფთვმი განვსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულიად და გამოთარგმანე-

ბად წარემართე ბერძულისაგან ქართულად. და აღიწერნეს ჩუჴს მიერ რავდენიცა უძლეთ წერად: ა) თარგმანებაჲ წმ. სახარებისა იოვანეს თავისა, ბ) სწავლანი წმ. მ. ჩუჴსნისა ბასილისნი ლ თავი; გ) მისივე თარგმანებათაჲ თავი იბ, დ) წმ. იოვანე სინელი მამასახლისისაჲ თავი ლ, ე) წმ. მ. მაკირისი სრულად, ვ) წმ. ისაკისი, რომელთაშინა არიან სხუათაცა მამათანი, ზ) წმ. დოროთესი, ს) წამება და სასწაულნი წმ. მოწამისა დიმიტრისნი, თ) ცხოვრება და წამება წმ. სტეფანე ახლისა, ი) ცხოვრება და წამება წმ. კლემენტოს ჰრომთა პაპისა, აი) წამება წმ. კლიმი ანკვირელისა, იბ) ცხოვრება წმ. ბასილი კესარელისაჲ, იგ) ცხოვრება წმ. გრიგოლ ლუთის-მეტყუჴლისაჲ...

მარტო ეფთჴმის შრომანი: ა) ცხოვრება წმ. გრიგოლ ლუთის-მეტყუჴლისა და თქმულნი მისნი, ბ) ცხო-

ვრება წმ. ბაგრატიანი, გ) წამება წმ. სამთა ყრმათაჲ: ალფიოს და ადელფიოს და კკრინესი, დ) ცხოვრება წმ. ონოფრე მძოვრისაჲ, ე) ცხოვრება მარიამ მეგჯობელისაჲ, ვ) სწავლანი წმ. რიპსიმე და ეფრემისნი ზ) სუინაქსარი ბერძული, რომელ არიან კრებანი; ს) მიმოსლვანი და ქადაგებანი წმ. იოანე მახარებელისანი, თ) თარგმანებაჲ გალატელთა და თესლონიკელთა და რომაელთა ეპისტოლეთაჲ. ი) დასადებელნი წმიდათა მარხვათანი. ია) მრავალთა წმიდათა გალობანი... ხოლო აწ ეამსა სიბერისასა ჭ უძლურებისა ჩუპნისასა... წარვმართე შული ჩემი ეფთჳმი, რათა თარგმანებაცა წმ. სახარებისა მათეს თავისაჲ აღწეროს და... სრულჳქმნა ნებითა ღუთისათა და ესენიცა... ოქროპირისანი (იხ. Памятники Груз. стар., ა. ცაგარელისა, გვ. 175-174).



ეს წარწერა საყურადღებოა არა მარტო მით, რომ მასში მოყვანილია ძვირფასი ცნობები შესახებ ქართულის ძველის მწერლობისა, არამედ მითაც, რომ ეფთჳმის ეგრეთვე „მრავალთა წმიდანთა გალობანი“ შეუსრულებია.

ამ წარწერის ავტორი იოანე აღესრულა 998 წელს. მაშასადამე ამ დრომდის ყველა ზემორე დასახელებული წიგნები და აგრეთვე „მრავალთა წმიდანთა გალობანი“ უკვე შესრულებული ყოფილა ქართულს ენაზედ. აი ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ეს ეფთჳმეს გალობანიც ჩატანილი უნდა იყოს ამ წერილის თავს აღნიშნულ საგალობელში, რომელშიაც, როგორც ვსთქვით, ორგან წარწერა იხსენიებს „მწარედ ცოდვილ ეფთჳმის.“

ამას გარდა „წერა-კითხვის საზოგადოების“ ერთ ხელნაწერში (№

427) სტეფანე ჭყონდიდელი და ეფთვი ერთად იხსენიებიან. ამ ხელნაწერში მოყვანილია ეფთვიმეს დაწერილი „კითხვა-მიგება“, წარმოგზავნილი ათონით საქართველოდ. ამ საინტერესო წერილში ვპოვებთ ცნობებს შესახებ საეკლესიო უკანონო წიგნებისა ქართულს ენაზედ.

„ეკსკვი ჰამფაღიელისა წიგნი არს, მრავალთა რათმე საქმეთა და თხრობათა წარმოიტყვის თვთო სახეთა, რამეთუ მრავლითა ფილასოფოსობითა დაწერილ არს იგი და წუალებანი მრავალნი ჩაურთავენ მასვე და ამისათვის არა შეიწყნარებს ეკლესიაჲ. იგი ქართულად უისმე უთარგმნია და, უწინარეს მრავლისა ჟამისა სიცოცხლესა ნეტარისა მამისა იოანესსა, მოეწერა ქართლით სტეფანე კჰისკოპოსისა ჭყონდიდისსა და ეკითხა: ვითარმედ შესაწყნარებელ არსა კითხუაჲ წიგნისა ამის ანუ თუ არა? ხო-

ლო ჩვენ მიუწერეთ მას: ვითარმედ არა შესაწყნარებელ არს. გარნა კარგნიცა საქმენი მრავალნი ჰსწერიან და ღვარძლნიცა წუალებისა თანა შთაუთესავს და მით უხმარ არს იგი“ (იხ. გვ. 9).

ამავე წერილში ეფთვიმე ჩამოსთვლის სხვა აღკრძალულ ქართულ წიგნებსაც, სახელდობრ: ა) ადამის ცხოვრება, ბ) სიყრმე ოკფლისა, გ) მოციქულთა ცხოვრება, დ) მათე მახარებელისა, ე) ანდრია მოციქულისა, ვ) წმ. გიორგის ცხოვრება, ზ) (წიგნი), რომელსაც დადიანესი ეწოდების, ს) წმ. კვიციანი, თ) წიგნი აბოკრო უცხოთა რათმე საქმეთა მეტყველებს და ეკლესია საბერძნეთისა არა შეიწყნარებს (იხ. ხელ-ნაწერის გვ. 9).

ამას გარდა, ჩვენ გვაქვს ცნობა შესახებ წიგნებისა: ნებროთისა და ენოქისა. ნებროთის წიგნი მოხ-

სენებულია ქართლის ცხოვრებაში მეფეთა მირიანისა და ვახტანგის ისტორიაში. იქ, სხვათა შორის, იხმარება სიტყვა: დაიწყო „ძიებად ძველთა და ახალთა წიგნთა“, „ჰკითხავნ აბიათარსა ძველთა და ახალთა წიგნთას“, „და წიგნიცა, რომელი აქუნდა მამიან მეფესა ნებროთისა მასცა წიგნსა შინა პოვნა წერილი ესრეთ... მე ვარ მიქელ, რომელი დადგინებულ ვარ ღვთის მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავალისასა... მაშინ გულის ხმა ჰყო მეფემან მირიან, რამეთუ ძველნი წიგნნი და ახალნი ემოწმებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა და შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა“ (გვ. 84).

ეს ნებროთი, ვახტანგ გორგასალის თქმით, არის გმირი ენათა შერევის დროისა და ჩვენ ქართველნი ვართ ნათესავნი მისნი. მისდამი იყო ზეგარდამო ხმა უფლისა: „მეფობა შენი მე-

ფობდეს ყოველთა მეფეთა ზედა“. ენათა შერევნის შემდეგ „დაუტევნა ჰინდურად მზრახველნი ინდოეთს, სინდნი სინდეთს, ჰრომნი ჰრომს, ბერძენნი საბერძნეთს, აგ და მაგუგ მაგუგეთს, სპარსნი სპარსეთს. ხოლო პირველი ენაჲ ასურებრი იყო და ესენი არიან შვიდნი ენანი, რომელნი ნებროთისამდე ზრახვიდეს“. შემდეგ ამისა ვახტანგ მეფე: შენიშნავს: „ამისთვის მოგიტხარ, რომელ მამათა ჩვენთა დაფარულად ეპყრა წიგნი ესე (ნებროთისი), ხოლო მე შურმან საღმთომან მაიძულა თქმად ამისსა: ამის მიერ შეიწყნარა მამამან ჩვენმან მირიან სახარებაჲ იგი ნინოსი“ (ქ. ცხოვ. გვ. 123).

ეს ნებროთის წიგნი დიმ. ბაქრადეს მიაჩნია „ადამის წიგნად“. ეს წიგნი, მისივე თქმით, იხსენიება გიორგი მთაწმინდელისაგან აპოკრიფულ შრომად, ხოლო დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ

გიორგიზედაც აღრე ამ „ადამის ცხოვრებას“ აბოკრიფიულად ჰხადის წმ. ეფთჳმეც.

მივაქცევ მკითხველის ყურადღებას მეთათე საუკუნეზე უწინარეს დროინდელ ქართულ წიგნებზე, ვითარნიც, სხვათა შორის, არიან: ა) წიგნი აბოკრა, ბ) წიგნი დადიანესი და სხ. რა წიგნებია ეს წიგნები? რა შინაარსისაა? ვისი დაწერილია? როდის დაწერილია? თარგმნილია, თუ ორიგინალური? ყველა ამ კითხვებზედ პასუხის მიგება დღეს შეუძლებელია, რადგან ორთავე ეს წიგნი დაკარგულად ითვლება. აბოკროზედ ორიოდე ცნობა მაინც მოიპოვებოდა, მაგრამ რომ ქართულს ენაზედ იყო „წიგნი დადიანესი“ ეს-კი ჩვენთვის სულ ახალი ამბავია.

წიგნში „Записки Восточ. Отд. Имп. Рус. Арх. Общества“ \*) დაბეჭ-

\*) იხ. ტ. I, გამოც. I და II, გვ. 166—174.

დილია წერილი ამ საზოგადოების თავმჯდომარის B. P-სი. იგი ამტკიცებს, რომ ეფთვმეს „ქართულიდამ ბერძულად გადუთარგმნია რამდენიმე წიგნიო და მათ შორის „ბალავარი“, „აბუკურა“ და სხვ. რომ ბალავარი მართლაც ქართულიდამ არის გადაღებული, ეს იმით მტკიცდება, რომ ა) წმ. იოანესი და ეფთვმის ცხოვრების თქმით ეს უკანასკნელი განთქმული იყო არა თუ მართლ საქართველოში, არამედ საბერძნეთშიაც, რადგან ქართულიდამ გადუთარგმნა „ბალავარი“ და „აბუკურა“ და ბ) პარიჟისა და ვენეციის ხელნაწერ „ბალავარის“ სათაურშიაც პირდაპირ არის ნათქვამიო, რომ ბალავარი „ქართულიდამ ბერძულად სთარგმნა წმ. ეფთვმი ივირმაო“.

ეფთვმის ზემორე მოყვანილ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნიდგან სჩანს, რომ ბალავარი, თუ მაშინ არსებობდა

ქართულს ენაზე, კანონიერ წიგნად აღიარებული ყოფილა, რადგან უკანონო წიგნების რიცხვში იგი არ არის მოხსენებული. ხოლო აბუეკურა კი უკანონო ყოფილა. ძალიან შესაძლებელია, რომ ეს წიგნი ეფთჳმემ გადიღო ბერძულს ენაზედ და ბერძნის ეკკლესიამ იგი უკანონოდ აღიარა.

ამ კითხვა-მიგებაში მოხსენებული სტეფანე მე სწორედ იმ სტეფანე ჭყონდიდელად მიმაჩნია, რომელსაც საგალობელი ჰხადის სანანოჲსძედ. სხვა ჭყონდიდელი, სახელით სტეფანე, ჩვენ არ გვახსოვს.

თვით პალეოგრაფიაც (წერისნიმუშები) გვიჩვენებს, რომ ეს ხელნაწერი არა უგვიანეს მეათე საუკუნისაა. ამ ხელნაწერის წერა და „შატბერდის კრებულისა“ ძრიელა ჰგვანან ერთი მეორეს. შატბერდის კრებულის ჩვეულებრივ ხუცურის ხელით



მინაწერები ხომ სრულიად არ გაიჩევა „საგალობელის“ ტექსტის ხელისაგან. საკვირველია ის გარემოებაც, რომ, როთავე ამ ძველ ნაშთში თითქმის ერთივე იგივე პირნი იხსენიებიან: მიქელი იქაც და აქაც ერთი უმთავრესი პირთაგანია; იქაც და აქაც იხსენიებიან სტეფანე, იოვანე.

გარდა ამ მსგავსებისა, განსხვავებაც არის. შატბერდის კრებულში საქართველოს ისტორია სრულდება აშოტ კურატპალატის (786—826 წ.) შვილის გურამ კურატპალატის დროს, ხოლო საგალობელში მოხსენებულია მეფენი სუმბატ (923—958), გურგენ (958—980) და დავით კურატპალატი. განსხვავება კიდევ ისეთია, რომ შატბერდის კრებულის პირველი ნახევარი დაწერილია ასო-მთავრულით ღმეორე—წვრილიხუცურით, ხოლო საგალობელი-კი მთლად წვრილი ხუცურით, გარდა ზედ მინაწერე-

ბისა, სათაურებისა, — ყველა ეს შესრულებულია ასო-მთავრულით. მთავარ ასონი ხშირად მშვენებულად დახატულია. ზოგი ასოები მინანქრით მოკაზმულია, თავსა და თავს შორის მრავალფერადად დახატულია არშიები და გავლებულია ზოლები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო მსგავსება ორთავე ამანაშთისა. შატბერდის კრებულის გადამწერი ამბობს ქართლის მოქცევის შესახებ: „მოქცევაჲ ქართლისაჲ, ვითარცა ტალანტი წინამძღუართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ყამაჲს და წელთა კზოკუთ“.

ოთქმის ამავე სიტყვებით საგალობელის მწერალი ამბობს: „საგალობელნი... ფრიადითა ხარკებითა და გულ-მოდგინედ ძიებითა... კზოკუნ კნითა ქართულითაჲთა და განვაწესე სიმართლითა და სისწორითა კილოჲსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა“.

და არც ენა საგალობელისა განსხვავდება შატბერდის კრებულის ენისაგან.

ყველა ზემორე მოყვანილ ცნობების შემდეგ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს „საგალობელი“ მეთე საუკუნეშია გადაწერილი, ხოლო მისი დედანი-კი, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ დაკარგულია, უნდა ყოფილიყო შედგენილი ამაზე და ცუწინარეს დროს, ვინ იცის, მეთისავე დასაწყისს ანუ ამაზე და ც ადრე.

აღბათ მიაქციეთ ყურადღება აგრეთვე იმ ამბავს, რომ მიქელი იხსენიებს მესხურ საგალობლებს, რომელიც მას უბოვია „ქართულითა ენითა“. ეს მეხური აღბად კორექტურულ შეცდომად ჩასთვალეთ და იფიქრეთ, რომ მესხურის მაგიერ მესხური დაუწერიათო.

მეც აგრე მეგონა, მინამ წავიკითხავდი ამ ხელნაწერის სხვა-და-სხვა

მინაწერებს. და რახან ყველგან მო-  
ხსენებულია „მეხური“, ამიტომ აქ  
შეცთომაზე ლაპარაკი აღარ უნდა  
იყოს. „მეხური“ უნდა იხმარებოდეს  
მაგიერ „სომხურისა“, რომელიც  
მართლაც შემოკლებულია სიტყვიდამ  
„სომეხური“. ქართულ ენასა და მის  
კილო-კავებში პრეფიქსი „სო“ უდ-  
რის პრეფიქსს „სა“, რომელიც მე-  
გრულში ხანდახან გადადის „ო“-ზედ  
და სვანურში „ლა“-ზედ. მაგალ.  
სა-რცხი მეგრულად ითქმის ო-რცხონ-  
ჯი \*) და სვანურად ლა-ცხნირ. აგ--  
რეთვე სა-ზომი მეგრულად ო-ზომა-  
ლი და სვანურად ლა-ზმა; სა-ზრა-  
ხავ სა-ყვედური=მეგრულად ო-ზრა-  
ხებელი და სვანურად ლა-სყვადურ;  
სა-თხემე სვანურად ლა-თხუმ. რო-

---

\*) თუმცა ეს სიტყვა მეგრულად ნიშნავს  
სავარცხელს, მაგრამ ეს ჩვენი მიზნის-  
თვის სულ ერთია. რადგან ეს სიტყვები ერ-  
თი ძირისაგან წარმომდგარა.

გორც „სა“, ისე „სო“, „ო“ და „ლა“ ერთნაირად არიან „კუთვნილებისა“ და ადგილის მაჩვენებელი მარცვალნი. ძველი გეოგრაფიული და ეტნოგრაფიული სახელების ახსნას ძრიელ აადვილებს ამ მარცვლების ერთივე იგივეობა. აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს.

ქუთაისის მარჯვენა მხრის მთებს, საცა ბაგრატის ტაძარია, ძველად ერქვა (ღ მგონი დღესაც უწოდებენ) უხამერიონის ანუ ოსამყრონის მთებს. ერთი ჩვენებური ფილოლოგი ამ სახელს უკავშირებს ბერძნულ სიტყვას „ხიმა“ (ზამთარი) და ამ ხიმადამ აწარმოებს ოხამერიონს. ჩემის აზრით-კი აქ ზამთარს არაფერი ადგილი არა აქვს. უხამერიონის ფესვი უნდა იყოს ქართულივე სიტყვა ოსჟა, რომლიდგანაც იწარმოვა სიტყვები: სოფსი, სოფსუქლი, ოსუბა და აქედგან მეგრული სახელწოდება ეკკლესიისა ოსჟამე და სვა-

ნურიც ლაკვამ. ეს სიტყვები ქართულის პრეფიქსით ასრე გამოითქმის: სა-ხუამე და სა-კუამ, ე. ი. ადგილი სასაყდრო, საღმთო, სავედრებელი ანუ საოხი, სა-ოხებელი, ო-ხუამერიონი მეგრულად).

ამგვარადვე მე მგონია, რომ „მეხური“ და „სომეხური“ ერთი და იგივე სიტყვა უნდა იყოს. და ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ ქართული „მეხური“ წარმოებულია სომეხურის სიტყვიდამ „ჰაჲ“. უნდა დავიხსოვოთ, რომ ქართულ დედა-ენაში ასო „ჰ“, იცვლება ასო „ხ“-თი. მაგ. სვანები და ინგილონი იტყვიან „ყაჰბა“, ხოლო დანარჩენი ქართველები „ყახბა“. ქართველები ჰქუა, სვანნი ხაქუა; ჰიდრო, მჰიდრო, მჰჰიდრო (ძველად) და სვანურად მსჰიდ. ეს ჰ გადადის აგრეთვე ლ-ზედ; მაგალ. ჰლჰუ ხევსურულად ითქმის ლლჰუ ანუ კიდევ: ჰლჰუწჰუ-ვლჰუწჰუ და სხ. ამგვარად

პირვანდელი ჭაფჩვენს ენაში მოინათ-  
ლა სჯა-ჯდ, ამას როგორღა მიემატა  
პრეფიქსი „მე“? ისე, როგორათაც  
სვანებმა „ქართ-ს“ (ქართლი) მიუ-  
მატეს „მჰ“ და გამოვიდა „მჰ-ქართ“,  
ე. ი. ქართლელი, შვანს (სვანეთი)  
მიუმატეს „მუ“ და გამოვიდა „მუ-  
შვან“, ე. ი. სვანი, სვანელი; რუსს  
„მუ“ და გამოვიდა „მურუს“ (რუ-  
სი), მო-წამე სვანურად ითქმის მე-წმ ლ  
სხვ. აქედგან ცხადად სჩანს, რომ  
პრეფიქსი მე, მჰ, მუ არის მიმღეობის  
ნიშანი, რომელიც ქართულ ენაში  
ხან იხმარება, ხან არა, ვითარცა სხა-  
ლი და მსხალი, ტრედი და მტრედი,  
ლდელი და მღვდელი, ტბევარი და  
მტბევარი, ეგრისელი და მეგრელი,  
თიულეთი და მთიულეთი და სხვ.

ასრევე წარმოსდგა „მეხაჲ“, რო-  
მლიდამ ზედშესრული იქნება „მეხუ-  
რი“ და აქედგან-კი სომეხური, სომ-  
ხური, სომხეთი, სომხითარი. აგრეთვე

მეხაფური და შემოკლებით მეხური, ვითარცა მამაფური-მამ-ური, დედაფური-დედ-ური, დაფური-დ-ური.

ეს ჩვენი შესწავებაც რომ უგერგილო აღმოჩნდეს, მაინც ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „საგალობელის“ „მეხური“ აღნიშნავს „სომხურს“. ეს მტკიცდება იმითაც, რომ წიგნში შიგა და შიგ მოიპოვება ათიოდე სომხური სიტყვა და წინადადება. მაგ. „ტერ ვოლორმი“ (უფალო შეგვიწყალებ) „დრახტ (სამოთხე) და სხვ.

თუ „მეხური“ ნიშნავს სომხურს, მაშინ ჩვენს საგალობელს ერთი-ორად მეტი ფასი დაედება, რადგან, როგორც ამბობენ, სომხებს დაუკარგავთ თავისი ნაციონალური ხმები და ახლა ევროპიული შემოუღიათ. დღეს ჩვენის საგალობელის შემწეობით შეიძლება სომხებმა სრულად აღადგინონ თავისი ძველი გალობა, რომლის შე-



სახებ საგალობელის ავტორი შენიშნავს (იხ. გვ. 49):

საყოფარელნო: ოჯკოჯეთოჯ: ერთ-  
სა: ძლისპირსა ზედა: რომელიმე: კი-  
ლოჲ: ერთი: ორგოჯარად: იყოს:  
აღნიშნოჯლ: ნოჯ ოჯცხო გიჩნ:  
ნოჯცა: ოჯრთიერთას წინააღმდეგომ:  
რამეთოჯ: რომელიმე: მრავლისა:  
ძლისპირისა: ერთი კილოჲ: ორგო-  
ჯარად არს: მეხოჯრად: ხოლო: შენ:  
რომელი გინებს: ბრძანე: რამეთოჯ:  
ორივე: ჳეშმარიტ არს:.

ახლა ვიტყვი ორიოდ სიტყვას თვით შინაარსისა და წიგნის ნოტიების შესახებ.

ხელნაწერში მოყვანილია საგალობელი შობისა, ნათლიღებისა, აღდგომისა და სხ. დღესასწაულებისა და აგრეთვე მოსახსენებელი საგალობელნი ანუ, უკეთ ვსთქვათ, „ქება“ სხვა-და-სხვა წმიდანებისა და მათ შორის ჩვენი „აბოისაც“. კარგა ბლომა

ნაწილი ყველა ამ საგალობლებისა დაწერილია და შედგენილი „იოვანე მტბევარ ეპისკოპოსისაგან“. აბოხ საგალობელნი თუმცა შინაარსით, საზოგადოდ, ჰგვანან მისივე შესხმას, დაბეჭდილს საბინინის მიერ, მაგრამ ორივე ეს ნაწერი ერთისა და იმავე მწერლის კალამს არ ეკუთვნის. ნიმუშად მომყავს მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი. მსურველს შეუძლიან შეადაროს უკვე დაბეჭდილთან.

მოწამეთა და მართალთა შორის ქებულო. ეკლესიათა შუენიერო სამკაულო. მარტყოთა სიქადულო. მეფეთა სიხარულო. მორწმუნეთა შემწეო. ახოვანო მოღუაწეო აბო. ღმერთსა ევედრე აწ. მონიჭებად სულთა ჩუენთა დღეს დიდი წყალობაჲ::

აღმსარებელნი სამებისანი. მორწმუნენი ადამიანნი. აღმასრულებელნი საუფლოსა, ამას დღესა ნათლიითა შე-

მოსილსა. საღმრთოჲთა შესხმითა. უგალობდეთ კსენებასა. აბო ახლისა მოწამისასა::

ოჯვარის შყოფელთა ქრისტესთა უშჯულოთა ისმაიტელთა. ნაშობთა შორის ბნელისათა. ვარსკულავად მნათობად გამოჰბრწყინდი მკნეო. მოწამეო აბო. და საღმრთოჲთა ნათლითა. განანათლენ ქართლისა მყოფნი::

რაჟამს მიიწია ბაბილონდ. მთავარი ქართლისაჲ\*). მაშინ ნეტარი ჰაბო.

---

\*) ეს მთავარი ქართლისაჲ „წმ. აბოს ცხოვრებისა“ და „ქართლის ცხოვრების“ თქმით იყო ნერსე. „რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერის მთავარი იგი ქართლისა, სახელით ნერსე, ძე ადარნასე კურატპალატისა და ერისთავისა, მოწოდებულ იქმნა ქუცყნად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან, ჟამსა სარკინოზთასა, ამირა მუმლისა აბდილასაგან, რომელი იგი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადსა... შესმენითა ბოროტთა კაცთათა საპყრობილესა შეაგდო მან ნერსე ერისთავი ამის ქართლისა და პყრობილ ჰყო იგი სამისა წლისა ჟამთა....

შჯულითა ისმაიტელი. შეიწყნარა განგებითა ღუთისაჲთა. და მის მიერ გულისხმაყო. ძალი ქრისტეჲსი:.

მორაიწია სანატრელი ჰაბო. არეთა ქართლისათა. იწყო ვედრებად ღუთისა. მოყვანებისათჳს უმჯობესად... დაუტევა შჯული უნდოჲ. და შეიყუარა სარწმუნოვებაჲ. ქადაგებული მოციქულთაჲ...

---

გამოიყვანა იგი მწარისა მისგან საპყრობილისა და განუტევა იგი კუალად ერისთაობით აქა ქუტყანადვე თჳსა.... აბო იყო ყრმა ჰაბუკ, ვითარ 18 წლის. ამან ინება წარმოხლვა თჳსი აქა ერისთავისა მის ნერსეს თანა და შეეყო იგი მსახურებად მისა.... და რაჟამს მოვიდა იგი ქართლად, ცხოვნდებდა იგი ნერსე ერისთავისა თანა და სათნოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრობისასა... იწყო ზედა-მიწვენად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუპლისა და ახლისა ჰსჯულისათა... და მრავალთაგან ჰსჯულის მეცნიერთა იკითხაენ და ისწავენ.

ეძიებდეს შეპყრობად მოწამესა.  
ქრისტესსა უშჯულონი. ხოლო იგი  
ნეფსით მიეცა. კელთა მათთა ვითარცა  
მკსნელი...

ეტყოდა რაჲ აბო ნათესავთა თჳსთა.  
კეთილ არს დატევებაჲ ბნელისაჲ. და  
მოსწრაფებაჲ ნათელსა ღუთის მე-

---

შემდეგ ამისა აბოს ცხოვრებაში მოთხრო-  
ბილია, თუ როგორ ნერსე ივლიტო სარკი-  
ნოზთა დენისაგან ხაზარეთს და ჩერქეზეთს,  
იქიდგან აფხაზეთს და მერე ისევ ქართლს  
დაბრუნდა. აბო თავის ბატონს განუყრელად  
თან დასდევდა. ჩრდილოეთ კავკასიაში (ხა-  
ზარეთს) აბომ ქრისტიანობა მიიღო და ქრი-  
სტიანად დაბრუნდა ქართლს. შემდეგ ამისა სა-  
მი წლის განმავლობაში დიდად მოღვაწეობდა  
აბო. მერმე იგი დაიჭირეს სარკინოზთა და  
ავლაბრის ხიდთად, „ადგილსა, რომელსა  
ერქვა სადილეგო“, თავი მოჰკვეთეს და  
მერმე დასწვეს.

აბოს წამებამდე „ხუთას წლისა ჟამთა და  
უწინარესთა“ გაქრისტიანებულად ჰხადის ქა-  
რთველებს ამ წმიდანის ცხოვრების აღმწე-  
რელი.

ცნიერებისასა. მონებად სამებისა:.  
ესმა რაჲ ერსა ისმაიტელთასა. აღე-  
გზნეს ცეცხლებრ გულისწყრომითა  
და მკეცებრ იღრჭენდეს კბილთა. რა-  
თა მისცენ მოსიკუდიდ. აბო ქრისტეს  
მოწამეა:.

არად შეჰრაცხა განრისხებაჲ უშჯუ-  
ლოთაჲ. არცა ყოვლად ზარ განკხდილ  
იქმნა..... და არაჲ დასცხრებოდა კი-  
თხვად. წიგნთა მათ საღმთოთა.

აღეგზნეს გულისწყრომითა. ულ-  
მრთონი ისმაიტელნი. ჰაბოჲსთჳს  
მოღუაწისა. და ეტყოდეს მსაჯულისა.  
წარწყმიდე მაცთური ესე. და მკდომი  
შჯულისა ჩუენისაჲ:.

რაჲჲმს მიუპყრა. მოწამემან ქრის-  
ტესმან. ღუაწლისა მხდომმან. მახჯლსა  
ქედი თჳსი ქრისტესთჳსი. მას ჲამსა  
კმაყვეს მალლით უკორცოთა: აღმო-  
ვედ ჩვენთანა. გიწესს ოფალი. და  
იხარებდი წინაშე მისსა.

საგალობლის ნიშნები დაწერილია

წითელის მეღნით. ამ ნიშნების ზოგერთი ჰგავს გრძელს ფრჩხილს მაღლა ამართულს, ზოგი ხაზი მაღლა ადის და მერე უცმად განზე გადატყდება და მერე ისევ მაღლა ამართება. ამ გვარ ხაზს ხშირად ორი, სამი, ოთხი და სხ. გადატეხილი „ბულუმი“ აქვს. სხვა ხაზი ღელვით მიდის მაღლა (ალბად იგი „სარაკრაკო“ ხმას აღნიშნავს). ხშირად ერთსა და იმავე ასოს ზემოდანაც უზის ნიშანი (ხაზი) და ქვემოდანაც.

საგალობელში ხშირად წერილის ანუ საგალობელის სათაურს მოხსენებულთა: იამბიკონი, აკრისტიხონნი. ერთ ადგილას, მაგ., ანბანის რიგზე მოყვანილია აკრისტიხონნი (ამ სიტყვას ავტორი ასე ხმარობს), რომელთა ყოველი პერიოდი ისწყება შესაფერის ასოთი, ესე იგი პირველი პერიოდი ა-თი, მეორე—ბ-თი და ასე ჟ-მდე. სულ 37 ასო უხმარია ავტორს.

აქ მომყავს მეხუთე ასოთი დაწყებული პერიოდი სრულად:

მნასა ჩემსა უძღურსა.

მოეც ძალი ძლიერი.

ქრისტე სიტყუაო მამისაო.

რათა ვაქებდე ღირსად

ნათლის ღებასა შენსა. . .

აგრეთვე ასო ზ-თი (ნაწყვეტი):

ბუნებით შეუხებელი.

არსებით შეუწერელი.

და სხ.

ერთ ადგილას კიდევ ავტორი შენიშნავს: „საყოჯარელნო: სხუანიცა: გალობანი: ნათლის ღებისანი: მრავალნი: მქონდეს: სიტყუაჲ არა კეთილიყვნეს: და მისთჳს არა დავწერენ: .“

დასასრულ საგალობლიდამ მომყავს ერთი წინადადება, რომელიც აზრითა და წინადადების მოკაზმულობით თითქოდეს „ვეფხის-ტყაოსნის“ დასაწყისს მიემსგავსება.



საგალობელი:

რომელმან სიბრძ-  
ნით დაჭზადნა ცანი  
ძალითურთ,  
და შეჭქმნა ქუეყანად  
ყოკლით თანა მკუდ-  
რითურთ. (კვ. 379).

რუსთაველი:

რომელმან შეჭქმნა  
სამყარო ძალითა მით  
ძლიერითა,  
ზუგაძდმო აწსნი  
ს-უღითა ჭყენა, ზე-  
ცით მოხზბურითა.

ამით ვათავებ ჩემ შენიშნვას. იმე-  
დი მაქვს ქართულისა, სომსურისა და  
ბერძნულ გალობის მცოდნენი მია-  
ქცევენ განსაკუთრებულ ყურადღე-  
ბას ამ საგალობელს (ნოტებს) და  
ჩვენნი მხატვარნიც ხელნაწერის მი-  
ნანქრიანი ასოებითა და იოვანე მტბე-  
ვარ ეპისკოპოზის სურათით ისარგე-  
ბლებენ.



მეათე საუკუნის „გალობის წიგნი“-დამ ამოღებული საგალობო ნიშნების ზოგიერთი ნიმუშები-მეხურსნი, ბესძულსნი და ქასთულსნი (Нѣкоторые образцы Мехурскихъ, Греческихъ и Грузинскихъ нотныхъ знаковъ изъ „Гимницы“) \*) X вѣка.

\*) „Гимница“ (საგალობელი წიგნი), состоящая изъ 544 пергаментныхъ, почти въ аршинъ длиною, листовъ, писана мелкими грузинскими церковными буквами и каждое слово, за исключеніемъ 2-3-хъ главъ, нотировано киноварью. „Гимница“ достояніе „Общ.

распростр. грамот. среди грузинскаго населенія“ и записана въ каталогъ подъ № 425. краткую замѣтку объ этой рукописи см. № 2583 „Нов. Обзор.“ и въ Историіи Грузіи Бакрадзе.



განმარტ

22/11/69  
5012

ფასი ერთი აბაზი

500/319

ამ დღეებში დაიბეჭდება წიგნაკი „ალუ-  
დგინე!“